ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საბურთალოს მე-6 ოლქის მაჟორიტარის, ვახტანგ შაქარიშვილის ანგარიში

თბილისი
2020
ნოემბერი

სარჩევი

შესავალი 2-4

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა 3

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განსახილველი
მნიშვნელოვანი საკითხები.....5-8

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მონაწილეობა 9-11

ურბანული და გეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია..... 10

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია 11

ინიციატივები, შეხვედრები და სხვა აქტივობები..... 13-18

საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის მოსახლეობასთან კომუნიკაცია 19-22

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის
წარმომადგენლობა და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა 21

მომავალი სამოქმედო გეგმა 23

შესავალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობითიორგანო, რომელიც საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს თვითმმართველობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი სტრუქტურებისსაქმიანობას, მონაწილეობს დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში. საკრებულო წარმოადგენს პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოს და პასუხისმგებელია პრიორიტეტების სწორად განაწილებაზე.

საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი - ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო 25 ოლქის მიხედვით.



2017 წლის 14 ნოემბრიდან ვარ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VI მოწვევის წევრი, საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ამომრჩეველთა 57.25% - მა (10556) დამიჭირამხარი.საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის ტერიტორია დაახლოებით 310ჰა-ს, ხოლო ამომრჩევლების რაოდენობა 41 886-ს შეადგენს.

ჩემს წინაშე დგას ორი ტიპის პასუხისმგებლობა: პირველი, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი წევრი, პასუხისმგებელი ვარ საქალაქო მნიშვნელობის გადაწყვეტილებებზე (სოციალურ-ეკონომიკური, ურბანული, სატრანსპორტო და ა.შ.); მეორე, როგორც საბურთალოს N6 ოლქის არჩეული მაჟორიტარი

- ჩემს სამაჟორიტარო ოლქში არსებულ პრობლემებზე. სწორედ ამ პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე დავისახე დარჩენილი ორი წლის განმავლობაში განსახორციელებელი ლოკალური და საქალაქო მნიშვნელობის მიზნები და ამოცანები. ჩემი მუშაობა ეფუძნება ერთ მთავარ პრინციპს, საზოგადოების მაქსიმალური მონაწილეობის უზრუნველყოფა მმართველობით პროცესში და მათი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

2018 წლის 1 ნოემბრიდან - 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარებული საკრებულოს 6 სხდომიდან, მონაწილეობა მივიღე 5 სხდომაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან მიღებულ იქნა: 17 დადგენილება და 75 განკარგულება.

2019 წლის 1 იანვრიდან - დღემდე ჩატარებული საკრებულოს 12 სხდომიდან, მონაწილეობა მივიღე 12 სხდომაში.

2019 წლის 1 ნოემბრიდან - დღმდე ჩატარებული საკრებულოს 18 სხდომიდან მონაწილობა მივიღე 17 სხდომაში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან მიღებულ იქნა: 140 დადგენილება და 406 განკარგულება.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც დავტოვე სახელისუფლებო პარტია, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - მნიშვნლოვნად გართულდა კომუნიკაცია თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ასევე გართულდა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება თუ მათში მონაწილეობა. შესაბამისად შემცირდა ჩემი ჩართულობა საკითხების მომზადებისა და წინასწარი განხილვის პროცესში. რაც შეეხება კომისიის ფორმატებს მაქსიმალურად ვიყენებ შესაძლებლობას შევისწავლო და დავაფიქსირო ჩემი პოზიცია ამ თუ იმ განსახილველ საკითხზე.

არ ვინაწილებ პასუხისმგებლობას იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც საკრებულო ხმათა უმრავლესობით იღებს, მიუხედავად ჩემი როგორც ერთი რიგითი წევრის წინააღმდეგობისა. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემი პოლიტიკური პოზიცია არ მანთავისუფლებს იმ ვალდებულებებისგან რომელიც დამეკისრა ჩემი არჩევის დღიდან, შესაბამისად ღიად ვუჭერ მხარს იმ საკითხებს, რომლებიც მჯერა რომ სასარგებლო იქნება ჩვენი ქალაქისთვის და მისი მაცხოვრებლებისათვის. ვცდილობ საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდო მნიშვნელოვან საკითზებზე, რომელთა მხარდაჭერაც მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, ამისათვის ვიყენებ სხვადასხვა საშუალებებს - საკრებულოს სხდომაზე პოლიტიკური განცხადება; სოციალური ქსელი; სატელევიზიო, ინტერნეტ და ბეჭდური მედია.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხენიდან გამოვყოფ რამდენიმე საკითხს, რომელიც ჩემს მიერ არ იქნა მხარდაჭერილი, რადგან მიმაჩნია, რომ ეს საკითხები ემსახურება არა ქალაქის და მისი მაცხოვრებელების ინეტერესებს, არამედ ემსახურება კერძო პირების არაჯანსაღ ბიზნეს ინტერესს.

- **გრგ ნადიკვარის ტერიტორიაზე** - თბილისის საკრებულოსთვის შემოთავზებულ იქნა კრწანისის რაიონში ნადიკვარის ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლიც ჩემი მოსაზრებით წარმოადგენს დანაშაულებრივი სქემის ნაწილს, რომელიც 2018 წელს დაიწყო, როდესაც საკრებულოსთვის განსახილვლად წამოადგენილ იქნა მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, რაც გულისხმობდა კუსტბის ასახვევის მიმდებარედ 2200კვ.მ მიწის ჩანაცვლებას, კრწანისს რაიონში მდებარე 12 ჰექტრის ფართობის მიწის ნაკვეთით. ცხადია თავშივე გამიჩნდა უამრავი კრიტიკული კითხვა მიწის ფართობებს შორის არსებულ რადიკალურ განსხვავებაზე, აქტივების შეფასების ექსპერტულ დასკვნებზე, ზოგადად ამ მონაცვლეობის კანონიერებაზე და ა.შ. ერთობლიობაში კი აღნიშნული კითხვები აჩენდა საფუძვლიან ვარაუდს, რომ საქმე გვქონდა კორუფციულ გარიგებასთან. მიუხედევად ჩემი წინააღმდეგობისა აღნიშნული მონაცველობა განხორციელდა და უკვე მიმდინარე წელს საკრებულოს წარედგინა მონაცვლებულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც არც ურბანული თვალსაზრისით არი გამართლებული და არც კანონიერია ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, შესაბამისად წრმოდგენილ გრგ-ს მხარი არ დავუჭირე.

- **მუნიციპალური კლინიკების პრივატიზება** - სამწუხაროა, რომ თბილისის დღევანდელი მერი ბეჯითად აგრძელებს ნაც.მოძრობის სტილით და მიდგომებით მართვას.

დღეს ჯანდაცვის სფერო მისი ყველა მიმართულებით ეს იქნება კლინიკები, სადაზღვეო კომპანიები, ფარმაცევტული კომპანიები და ა.შ მოქცეულია სულ რამდენიმე ბიზნეს ჯგუფის ხელში. მათ შორის კი დომინირებს კომპანია „ევექსი“, რომელიც არის საქართველოს ბანკის კორპორაციის შემადგენლობაში, რაც თავშივე დაუშვებელია რადგან ბანკებს ეზღუდებათ არაპროფილურ ბიზნესში ოპერირება. ეს პრინციპი თვალსაჩინოდ ირღვევა საქართველოს ბანკის შემთხვევაში, როდესაც ის ერთდროულად ფლობს და მართავს ფარმაცევტულ კომპანიებს, სადაზღვეო კომპანიებს და ამავდროულად კლინიკებს.

„საგანგაშო იყო მერის გუშინდელი განცხადება მუნიციპალური საკუთრებების აქტიურ პრივატიზებასთან დაკავშირებით“-ვატო შაქარიშვილი

2020-05-07 16:30:01

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, ვატო შაქარიშვილი, აქტიურ პრივატიზებასთან დაკავშირებით, დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებას გამოეხმაურა.

„საგანგაშო იყო მერის გუშინდელი განცხადება მუნიციპალური საკუთრებების აქტიურ პრივატიზებასთან დაკავშირებით. ვიცით რა, არაერთი ფაქტი თუ როგორ განკარგავს მერია თბილისელების ქონებას, გვიჩნდება ლეგიტიმური საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს იქნება ახალი და მასშტაბური კორუფციის წყარო.

რათქმაუნდა, თავისმხრივ გამოუყენებლი აქტივების ეფექტური მართვა, მერიის ვალდებულებაა და შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების პირობებში შესაძლებელია მათი პრივატიზება და ამ მექანიზმით ეკონომიკის წახალისებაც. მაგრამ მნიშვნელოვანია რომ ეს პროცესი წარიმართოს სისტემურად და მაქსიმალურად ღიად. არ უნდა მოხდეს ისეთი აქტივების გასხვისება, რომლებიც მომავალში შესაძლოა დასჭირდეს ქალაქს ურბანული, რეკრეაციული თუ სხვა საზოგადოებრივი დანიშნულებით.

ამ ფონზე, ნაცვლად იმისა რომ სახელმწიფო მოტივირებული იყოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ზრდაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე, მერის გადაწყვეტილებით დამატებით უნდა მოხდეს მუნიციპალური პოლიკლინიკების პრივატიზება, რაც ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროს სრულად კომერციალიზაციას.

მოსახლეობა ვეღარ ანსხვავებს ბანკში მიდიან თუ ჯანდაცვის დაწესებულებაში, რადგან ყველგან ჭარბობს ფინანსები და ათასგვარი ქაღალდები, ამაზე საუბრობენ და წუხან ჩევნი ექიმებიც.

პირველადი ჯანდაცვის როლი კი უმნიშვნელოვანესია და ეს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მსოფლიოში კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებში.

- **რაგბის კავშირის მიწაზე „ანაგის“ მრავალფუნქციური გრგ-ს შეთანხმება** - მომუნიციპალიტეტის დღევანდელმა ადმინისტრაციამ არაერთხელ თქვა უარი იმ პრინციპებზე და დაპირებებზე რომლითაც ადგილობრივ ხელისუფლებაში მოვიდა 2017 წელს. რაგბის კავშირის მიწის საქმე ამის ნათელი დადასტურებაა. 2000-იანი წლების დასაწყისში რაგბის კავშირს სახელმწიფოსგან გადაეცა მიწა, სარაგბო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. სამწუხაროდ წლების შემდეგ ნაცვლად სპორტული მოედნებისა მერიის გადაწყვეტილებით დღეს იქ მრავალსართულიანი საცხოვრებელი და სხვა კომერციული დანიშნულების ობიექტები შენდება. აღნიშნული საკითხის განხილვის ყველა ეტაპზე მკაფიო წინააღმდეგობა დავაფიქსირე და მოვუწოდე საკრებულოს მხარი არ დაეჭირა მრავალმხრივ გაუმართლებელი განაშენიანების გეგმისთვის, სამწუხაროდ დღეს უკვე სამშენებლო პოლიგონად იქცა, ერთ დროს სპორტულ-რეკრეაციული დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

- **შეღავათები აზარტული თამაშების კომპანიებისათვის** - მხარი არ დავუჭირე აზარტული თამაშოებების ბიზნეს სექტორის მიმართ, კოვიდ 19-ით გამოწვეული შედეგების აღმოსაფხვრელად საგადასახადო შეღავათების დაწესებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკრებულოს სხდომაზე ჩემს კოლეგებს მოვუწოდე, რომ სხვა კომპანიებისგან განსხვავებით, რომელთც ნამდვილად სჭირდებოდა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა, შეღავათები არ გაგვევრცელებინა აზარტული თამაშობების მომწყობ კომპანიებზე, როემლებსაც შემოსავალი პანდემიის პირობებში არა თუ შეუმცირდათ, არამედ ონლაინ კაზინოებზე მომატებული მოთხოვნის შედეგად გაეზარდათ კიდეც.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მონაწილეობა

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის საქმიანობა მიზნად ისახავს თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას; ქალაქის სწორი ურბანული განვითარების უზრუნველყოფას; საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარებისთვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მხარდაჭერას; პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების ეფექტურად დაგეგმვას.

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მუშაობა, მის მიერმიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ აისახება ქალაქის ურბანულ ცხოვრებაზე. წლების განმავლობაში უსტრატეგიო და უპრინციპო მმართველობამ თბილისი არაერთი მიმართულებით მნიშვნელოვნად დააზარალა. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულის ნათელი გამოხატულებაა ჩვენი კომისიის მიერ დღეს არსებული განსახილველი საკითხები, როდესაც ჩვენ გვიწევს დაშვებული შეცდომების გამოსწორება, რაც დღეს ქალაქს საკმაოდ ძვირი უჯდება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის ჩატარებულ 22 სხდომაში, განვიხილეთ/შევისწავლეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული 188 საკითხი. მათ შორის, საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 371 ცვლილება. მათგან თბილისის საკრებულოს უმრავლესობის მიერ მიღებულ იქნა 358 შემოთავაზებული

ცვლილება ხოლო 3-ის შემთხვევაში უარი ეთქვა, ხოლო 10 დამატებითი შესწავლის მიზნის გადაიდო.



კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 108 პროექტი, აქედან დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 4 პროექტი, ხოლო 1 უარი ეთქვა.


დადებითი რეკომენდაცია
უარყოფითი რეკომენდაცია
გადადებული
108
1
1
პროექტი

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია უშუალოდ მონაწილეობს თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და პრიორიტეტების განაწილების პროცესში, ასევე მონიტორინგს უწევს ბიუჯეტის გეგმიურ შესრულებას. კომისია პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აქტივების რაციონალურ და ეფექტურ განკარგვაზე.

2020 წლის 1 იანვრიდან - 2020 წლის 31 ოქტმობრის ჩათვლით მონაწილეობა მივიღე 16 სხდომაში და 216 საკითხის განხილვაში.

მხარს ვუჭერ მერიის ინიციატივის ფარგლებში სიმბოლურ ფასად საცხოვრებელი ფართების დაკანონებებს, აღნიშნული მიმართულებით საკითხები განიხილება კომისიის ჩატარებული სხდომების უმრავლეს შემთხვევაში.

ქონების მართვის კომისიის ფორმატში არაერთხელ დავაყენე საკითხი მუნიციპალიტეტის აქტივების არაეფექტურ განკარგვასთან დაკავშირებით. მერიის მიერ აპრობირებულია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ჩანაცვლება მუნიციპალური აქტივებით. ამ მიმართულებით გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა. ერთი როდესაც, არ არსებობს მიწის ჩანაცვლების ობიექტური და სამართლიანი საფუძვლები; მეორე, როდესაც კითხვები ჩნდება აქტივების შეფასების, ანუ ღირებულების განსაზღვირს პროცესში, ხშირ შემთხვევაში თავად მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული აქტებით ხდება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, სავარაუდოდ წინასწარი შეთანხმებით, ხელოვნურად გაძვირება. ასევე, არაერთხელ დამგარა კითხვის ნიშნის ქვეშ ექსპერტული დასკვნები, რომელთა მიხედვითაც მუნიციპალიტეტის აქტივების შეფასება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბაზარზე არსებულ რეალურ ფასებს, რაც ხელს უწყობს კერძო კომპანიებს განსაკუთრებულად იაფად დაეუფლონ მუნიციპალურ მიწებს, რომელთა რეალური ღირებულება გაცილებით მაღალია.

ინიციატივები, შეხვედრები და სხვა აქტივობები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0320048135**
თარიღი: **17/02/2020**
პინი: **3304**

აღრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარიფაძის ქ. 7ა

აღრესატი: შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

გადამოწმება: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ კახა კალაძეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის
ხელმძღვანელს ბატონ გიორგი შარგოვს

წლების განმავლობაში თბილისის მოსახლეობას ჰქონდა სამართლიანი მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მიმართ, დარეგულირებულიყო კომპანია „სი-თი-პარკი„-ის საქმიანობა ან გაუქმებულიყო ხელშეკრულება, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობას ნარმოადგენდა.

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ქართული ოცნების მხრიდან გაიცა აღნიშნული პრობლემის მოგვარების დაპირება და მალევე გაცხადდა ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილება სამართლებრივი საფუძვლებით აღნიშნული კონტრაქტის ცალმხრივი მოშლის შესახებ.

სწორედ იმიტომ, რომ ადმინისტრაცია საზოგადოებას, ასევე საკრებულოს არწმუნებდა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გამყარებული იყო შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტებით და რომ ბიუჯეტს არანაირი ფინანსური ტვირთი არ დაწვებოდა, საკრებულომ მხარი დაუჭირა აღნიშნულ გადაწყვეტილებას და საზოგადებასთან კომუნიკაციისას, არაერთხელ გაიცა ჩვენს მიერ ასეთი დაპირება.

სამწუხაროდ 2 წლის შემდეგ ირკვევა რომ საზოგადოებასთან ერთად საკრებულო, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველი ორგანო დარნა მოტყუებული. შესაბამისად გთხოვთ უმოკლეს ვადებში გაეცეს შემდეგ კითხვების პასუხი:

- რატომ მოხდა ასეთი მნშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება საკრებულოსთან კონსულტაციებისა და შეთანხმების , ასევე მოსახლეობის ჩართულობის გარეშე;
- მოგიწოდებთ საკრებულოს წევრებს გააცნოთ და გაასაჯაროოთ იმ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი და ფასები, რომლებიც

თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: (+995 32) 2 15 93 93, sakrebulo.ge
Freedom square 2, 0114 Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 2 15 93 93; www.sakrebulo.ge

- ჩემს მიერ გასაჯაროვებულ იქნა წერილი, რომელიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გავუგზავნე, **სითი პარკთან დადებულ საეჭვო გარიგებასთან** დაკავშირებით, რის შესახებაც საკრებულოს სხდომაზე დეტალურად ვისაუბრე. სამწუხაროდ, მერიამ მოატყუა მოსახლეობა, როდესაც აცნობა, რომ აღნიშნული კომპანიის გაყვანა თბილისის პარკინგის სფეროდან, მოხდებოდა საბიუჯეტო დანაკარგების გარეშე. გასულ წელს გაირკვა, რომ საკმაოდ ბუნდოვანი გარიგების შედეგად თბილისის ბიუჯეტიდან, მერიამ ცითი პარკს გადაუხადა 12 მლნ ლარი.

- **კარანტინის პერიოდში მოქალაქეების დახმარება** - 2020 წლის მთავარ გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს კოვიდ 19 - ის პანდემია, რომელიც საფრთეს უქმნის ყველაზე მნიშვნელოვანს ადმიანის ჯანმრთელობასა და სიცოხლეს. პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში როდესაც პაქტობრივად იყო სრული „ლოქდაუნი“



მოვამზადე ვიდეო მიმართვა, რომლის მიზანიც იყო ურთიერთ სოლიდარობის გამოხატვა და თანადგომის გამოცხადება. ასევე ჩემი წარმომადგენლობის ჩართულობით მცირე ნობათით დავეხმარეთ ჩემი ოქლის შეჭირვებულ მაცხოვრებლებს.



ვატო შაქარიშვილი / Vato Shakarishvili
11 ივნისი ·

კერძო კომპანიისთვის მიკროავტობუსების ბიუჯეტის ფულით შესყიდვა არც კაპიტალური დანახარჯია და არც სოციალური, ეს არის კორუფცია!

პანდემიის ფონზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში უდიდეს დანაკლისს განიცდის, მერიის პროგნოზით დაახლოებით 200 მილიონ ლარამდე. ეს ნიშნავს რომ სამწუხაროდ მერიას მოუწევს უამრავი პროექტის შეჩერება ან გადადება რომელიც თბილისში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას უნდა მომსახურებოდა. ამ ფონზე კი კალაძის გადაწყვეტილებით საბიუჯეტო თანხებით უნდა განხორციელდეს კერძო კომპანიისათვის მიკროავტობუსების შესყიდვა. რომ განვმარტოთ - თბილისის მაცხოვრებლების ფულით სურს კალაძეს რომ გააუმჯობესოს მისი ბიზნესპარტნიორის ფინანსური მდგომარეობა და გააკეთოს ის რაც ამ კომპანიის ვალდებულებაა!

წარმოადგინონ რომელიმე დასავლური ქვეყნის დედაქალაქის თუ ქალაქის მაგალითი სადაც არსებობს მსგავსი პრაქტიკა, ბიუჯეტის თანხებით კერძო კომპანიისთვის სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა. ეს გადაწყვეტილება არც ერთი რაციონალური მიზნით არ იხსნება, იმისათვის რომ არ გაზრდილიყო მგზავრთა გადაყვანის ფასი მუნიციპალიტეტს შეეძლო სხვა ბერკეტების ამუშავება, მინიმუმ იმ ადამიანებისთვის ვინც სოციალურად დაუცველია და ამის პრაქტიკა გვაქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაწილში. კერძო კომპანიისთვის მიკროავტობუსების ბიუჯეტის ფულით შესყიდვა არც კაპიტალური დანახარჯია და არც სოციალური ეს არის კორუფცია!

85 18 კომენტარი 5 გაზიარება

- **მიკრო-ავტობუსების ბიუჯეტის თანხებით შესყიდვა** - პანდემიის ფონზე, როდესაც თბილისის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში განიცდის უდიდეს დანაკლისს და ასევე ხარჯვით ნაწილში კონკრეტულად სოციალური მიმართულებით იზრდება ზეწოლა, თბილისის მერიამ გადაწყვიტა კერძო კომპანიას შუსყიდოს 300 მიკროავტობუსი საბიუჯეტო თანხებით. ეს გადაწყვეტილება გაუმართლებლად მიმაჩნდა მორალურად, სამართლებრივად თუ სატრანსპორტო განვითარების თვალსაზრისით, შესაბამისად არაერთხელ გავამახვილე ამ საკითხზე ყურადღება და გამოვიყენე ყველა შესაძლო ბერკეტი აღნიშნული პროცესის შესაჩერებლად მაგრამ ეს შესყიდვა მაინც განხორციელდა, რასაც თავისმხრივ დამატებითი კითხვები მოჰყვა სავარაუდო კორუფციასთან დაკავშირებით.

- **აზარტული თამაშების რეკლამირების შეზღუდვა**

ქვეყანაში მოდებულია მომაკვდინებელი სენი აზარტული თამაშების სახით. უპრეცედენტოდ გაზრდილია ხელმისაწვდომობა და პოპულარიზაცია.

ხელისუფლების სხვადასხვა შტოები არათუ ხელს უშლიან, არამედ საკუთარი კორუფციული მიზნებიდან გამომდინარე ხელს უწყობენ აღნიშნულ ინდუსტრიას.

მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე თბილისი სიცოცხლით სავსე ქალაქის ნაცვლად გადაიქცა „ბეთების“ ქალაქად.ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადამიანებს ხვდებათ შეთავაზებები 1 წუთში ცხოვრების აწყობის შესახებ, რეალურად კი ეს არის კარიბჭე მდგომარეობის გაუარესებისკენ.

მოვითხოვთ ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის და კანონპროექტის მიღებას, რომელიც აკრძალავს რეკლამირებას.

- **უკანონო მშენებლობები ვერეს ხეობაში (შეტბორვის ზონაში)** - სიცოცხლით სავსე ქალაქის შექმნის დაპირებით მოსული მერის მიერ გაცემული ნებართვით აქ, ორი შვიდსართულიანი მრავალფუნქციური ნაგებობა შენდება. აღნიშნულ საკითხზე არსებობობდა სრული კონსენსუსი დარგის სპეციალისტებში, რომელთაც ამ ტერიტორიის მსგავსი განაშენიანება დაუშვებლად მიაჩნდათ.

  მე არაერთი განცხადება გავაკეთე და გამოვიყენე ყველა შესაძლო ბერკეტი, მაგრამ საზოგადოების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად დღეს ვერეს ხეობაში ატიური სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

ღია წერილი თბილისის მერს



Vato Shakarishvili
25 ივლისი, 2019 ·

ღია წერილი თბილისის მერს

ვაკის რაიონის გამგეობის შენობის მიმდებარედ დაგეგმილ, კიდევ ერთ გაუმართლებელ მშენებლობასთან დაკავშირებით.

„ქაოტურ განაშენიანებას, რომელიც მართლაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქალაქისთვის, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას" - ეს არის ამონარიდი ახლადარჩეული მერის ინტერვიუდან. ეს იყო სწორი გზავნილი რომელიც ერთგვარ ფონად გასდევდა 2017 წელს ჩვენს მიერ წარმართულ საარჩევნო კამპანიას. ეს გზავნილი მას შემდეგაც ბევრჯერ გახმოვანებულა, მაგრამ სამწუხაროდ ის არაერთ შემთხვევაში რადიკალურად აცდა რეალურ გადაწყვეტილებებს.
დღევანდელ ჩემს წერილში მოსახლეობის დაკვეთით, მათგან მხოლოდ ერთს შევეხები. ეს არის ვაკის რაიონის გამგეობის შენობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე, სკვერის/საჯარო სივრცის ნაწილზე დაგეგმილი მშენებლობა (ს/კ 01.14.03.042.208).
წერილში გამოჭირდება ავსახო ბრძოლის ის ყველა ეპიზოდი რის შედეგადაც, მიუხედავად მოსახლეობის მიმართ უდიდესი ზეწოლებისა, დღემდე იქ კიდევ ერთი, ზიანის მომტანი მშენებლობა ვერ განხორციელდა. მერიის სამსახურების ხელთ ამ საქმის გარშემო უამრავი მასალა არსებობს, მათ შორის მოსახლეობის წერილები, საჩივრები და ა.შ. ასევე შეგიძლიათ გაეცნოთ მედიით არაერთხელ გაშუქებულ აქტივობებს, რომლებიც ამ სივრცის გადარჩენას ემსახურებოდა.
აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა კრიტიკულ შეუსაბამობაშია თქვენს მიერ დეკლარირებულ პოლიტიკასთან, რომელიც უნდა გულისხმობდეს სწორ ურბანულ განვითარებას, საჯარო სივრცეების შექმნას და შენარჩუნებას და რაც მთავარია საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას/ პრიორიტეტიზაციას. გარდა ამ არათანმიმდევრულობისა და პოლიტიკური მიზანშეუწონლობისა, მნიშვნელოვანია ის ამომწურავი სამართლებრივი დასაბუთება რომელიც მოსახლეობის მხრიდან იქნა წარმოდგენილი, სადაც აღწერილია აღნიშნული საქმის წარმოების პროცესში კანონთან და სხვა ადმინისტრაციულ აქტებთან მიმართებაში არსებული შეუსაბამობები.
ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ

ვაკის რაიონის გამგეობის შენობის მიმდებარედ დაგეგმილ, კიდევ ერთ გაუმართლებელ მშენებლობასთან დაკავშირებით.

,,ქაოტურ განაშენიანებას, რომელიც მართლაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქალაქისთვის, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას" - ეს არის ამონარიდი ახლადარჩეული მერის ინტერვიუდან. ეს იყო სწორი გზავნილი რომელიც ერთგვარ ფონად გასდევდა 2017 წელს ჩვენს მიერ წარმართულ საარჩევნო კამპანიას. ეს გზავნილი მას შემდეგაც ბევრჯერ გახმოვანებულა, მაგრამ სამწუხაროდ ის არაერთ შემთხვევაში რადიკალურად აცდა რეალურ გადაწყვეტილებებს.

საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის მოსახლეობასთან კომუნიკაცია

2017 წლის ნოემბრიდან დღემდე მაქვს აქტიური კომუნიკაცია ჩემი სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობასთან. ვხვდები მოქალაქეებს თბილისის საკრებულოში, წარმომადგენლობის ოფისში და წარმომადგენლობის ორგანიზებით ვახორციელებ ადგილზე ვიზიტებს კონკრეტულ მისამართებზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობის ოფისში შევხვდი 260-მდე, საკრებულოში -180-ზე მეტს, ხოლო ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ინდივიდუალურად - 110-მდე მოქალაქეს; ჩემს სახელზე შემოვიდა 8 წერილი, წერილობით გაკეთდა 7 შუამდგომლობა, (წერილების შინაარსი განეკუთვნება სოციალურ საკითხს) გარდა ამისა მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ვახორციელებ ზეპირ შუამდგომლობებს და შეხვედრების უზრუნველყოფას სხვადასხვა ორგანიზაციებთან და თანამდებობის პირებთან.

მოსახლეობასთან ვიზიტები და შეხვედრები შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ მოსახლეობაში არსებული პრობლემური და აქტუალური საკითხები, რის შემდგომაც შევიმუშავებთ მათი აღმოფხვრისა და გადაწყვეტის გზებს.

მოსახლეობის პრობლემები ყოველთვის არ განეკუთვნება თვითმმართველობის კომპეტენციას, ჩემი ფუნქციებიდან გამომდინარე ვარ შუამავალი მოქალაქესა და სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რომელთანაც საჭიროებიდან გამომდინარე ვუწევთ კონსულტაციებს, ვუზრუნველყოფთ შეხვედრის ორგანიზებას და ჩემი კომპეტენციის ფარგლებში პრობლემების მოგვარებას.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მოსახლეობას ვაწვდით კონკრეტულ მისამართზე დაგეგმილი და მიმდინარე სამუშაოების/ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, რათა მოხდეს მათი მოსაზრებებისა და ინტერესების გათვალისწინება სხვადასხვა პროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების ეტაპები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობა და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა.

მაჟორიტარული სისტემით არჩეული თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის მიზნების, ფუნქციების, ორგანიზების, საქმიანობის წესისა და საკრებულოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განკარგვის წესში 2017 წლის ბოლოს შესულმა ცვლილებებმა უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი გახადა მაჟორიტარებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაცია. აღნიშნული ცვლილებები შეეხო წარმომადგენლობის ფუნქციებსაც, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრის ორგანიზებას, მოქალაქეთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, საკითხის ირგვლივ სათანადო დასკვნების მომზადებას და მაჟორიტარი წევრისთვის წარდგენას, ოლქის განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავებას შესაბამის რაიონის გამგეობასთან და მერიის საქალაქო სამსახურებთან კოორდინაციაში, ყოველი წლის ბოლოს აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენას საკრებულოს წინაშე და ა.შ.

ზოგადად წარმომადგენლობის მიზანი და ძირითადი ამოცანებია მოსახლეობისთვის საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან კომუნიკაციის ხელმისაწვდომი პლატფორმის არსებობა, ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება, ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მაჟორიტარი საკრებულოს წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა. სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზნებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე მუშაობს ჩემი წარმომადგენლობა და ასრულებს შუამავლის როლს მოსახლეობასა და სხვადასხვა ადგილობრივ თუ ცენტრალურ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. წარმომადგენლობაში ხორციელდება მოქალაქეთა მიღება, შემოსული ზეპირი ან/და წერილობითი განცხადებების ანალიზი, პრობლემების კლასიფიკაცია და შესაბამისი ინფორმაციის მაჟორიტარისთვის მოწოდება პრობლემის მოგვარების სავარაუდო გზებთან ერთად. გარდა ყოველდღიური რუტინული საკითხებისა, წარმომადგენლობა ამზადებს ყოველკვირეულ რაპორტს (მოხსენებას) არსებული გამოწვევების შესახებ.

საბურთალოს რაიონში არსებული არაერთი ინფრასტრუქტურული, ურბანული (გრეკების დასახლება, აკურის და ალმასიანის ქუჩა და ა.შ), სატრანსპორტო თუ სოციალური პრობლემების უფრო ეფექტურად მოგვარების მიზნით წარმომადგენლობას შემუშავებული აქვს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკა.

ჩვენს ოლქში საქმიანობის საორიენტაციოდ, ასევე შემუშავებულ იქნა ე.წ. „უბნის პასპორტი“, რომელშიც თავმოყრილია საბურთალოს რაიონის მე-6 საარჩევნო ოლქში არსებული საჯარო/კერძო ბაგა-ბაღები და სკოლები; სპორტული და ხელოვნების სკოლები; ადმინისტრაციული შენობები; სამედიცინო დაწესებულებები; ეკლესიები; პოლიციის შენობები; კერძო/სამეწარმეო კომპანიები; ბიბლიოთეკები; უნივერსიტეტები და სხა დანიშნულების მქონე ინფორმაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ვახტანგ შაქარიშვილის წარმოდგენლობამ საქმიანობა დაიწყო 2018 წლის 20 თებერვლიდან და მის წევრებზე, წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარე გადანაწილებულია ფუნქციები და მოვალეობები სხვადასხვა მიმართულებით: წარმომადგენლობის კოორდინირება, საქმიანობის კონტროლი; მოქალაქეთა მიღება/აღრიცხვა; პრობლემების გამოვლენა/ დამუშავება/კლასიფიკაცია; საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია/ურთიერთობა, ინფორმაციის გამოთხოვა - დამუშავება - მიწოდება; მაჟორიტარისა და წარმომადგენლობის საქმიანობის, აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებით საზოგადოების ინფორმირებულობა, სოციალურ ქსელებში სიახლეების გავრცელება, მონიტორინგი, მედია საშუალებებთან ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობების წარმოება.

წარმომადგენლობის საქმიანობა ხელს უწყობს მაჟორიტარისა და მე-6 საარჩევნო ოლქის მოსახლეობის კომუნიკაციას. წარმომადგენლობის ოფისში ან/და საკრებულოში

მოქალაქეთა მიღება ხდება, როგორც ორგანიზებული შეხვედრების ფარგლებში, ასევე მოქალაქეების მოთხოვნისა და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ფორმატში კვირის ნებისმიერ დღეს. წარმომადგენლობის წევრების ორგანიზებით არასამუშაო დღეებში ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ვეცნობი არსებულ პრობლემებს.

მოქალაქეთა მიღების პარალელურად ხორციელდება მათი აღრიცხვა პრობლემებისა და საჭიროებების მითითებით, რის შემდგომაც ხდება პრობლემების კლასიფიკაცია და ინფორმაციის მოწოდება. ასევე მოქალაქეებთან ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაცია/კონსულტაცია, რის შემდგომაც ხდება საკითხების გადაჭრა ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის დასაზუსტებლად და პრობლემის არსში გასარკვევად დამატებით ხორციელდება მათთან შეხვედრა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობის ოფისში მიღებულ იქნა 350-მდე მოქალაქე; გასვლითი შეხვედრების ფარგელბში კომუნიკაცია განხორციელდა 960-მდე მოქალაქესთან, აქედან 200-მდე მოქალაქესთან განხორციელდა ინდივიდუალური ვიზიტი; წარმომადგენლობის ორგანიზებით მაჟორიტარი შეხვდა 500-მდე მოქალაქეს; წარმომადგენლობის თანამშრომლებთან და მათ მიერ ყოველდღიურად ხორციელდება მოქალაქეებთან სატელეფონო კომუნიკაციები და საკითხებიდან გამომდინარე იგეგმება შესაბამისი აქტივობები.

მომავალი სამოქმედო გეგმა

ჩემი არჩევის დღიდან, დასახული მიზნებიდან გამომდინარე აქტიურად განვაგრძობ მოსახლეობასთან კომუნიკაციას და ყველა დონეზე მათი ინტერესების ლობირებას. 2021 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ვიშუამდგომლებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საბურთალოს რაიონის გამგეობასთან, რათა მაქსიმალურად გათვალისწინულ იქნას მოსახლეობის ინტერესები და მრავალწლიანი ლოდინის შემდგომ მაინც დაიწყოს მათი პრობლემების ეტაპობრივი მოგვარება.

უნდა აღინიშნოს, რომ წლიური ანგარიშის ფორმატიდან გამომდინარე ანგარიშში არ არის აღწერილი ყველა ის აქტივობა თუ ღონისძიება, რომელიც ჩემს მიერ იქნა განხორციელებული საანგარიშო პერიოდში. საჭიროების შემთხვევაში მზად ვარ თითოეულ დაინტერესებულ პირს მივაწოდო ყველა ის საჯარო ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულ ანგარიშში არ არის ასახული.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2020 წლის 1 იანვრიდან - 1 ნოემბრამდე საანგარიშო პერიოდს.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

საბურთალოს N3 ოლქის მაჟორიტარი

ვახტანგ შაქარიშვილი